# ...იმედით სიარულის გასაგრძელებლად!

მამა გაბრიელე ბრაგანტინი CSS, მთავარი რედაქტორი

**ჩვენ იმედის მომლოცველები ვიყავით ჩვენი ეპისკოპოსის წერილის დახმარებით,** რომელიც წავიკითხეთ, გავიაზრეთ და შევეცადეთ მის მიერ მოწოდებული რჩევები ცხოვრებაში დაგვენერგა: დაე, უფრო მეტად გავაძლიეროთ მასთან კავშირი, გულისხმავყოთ მისი სწავლება და ამ 25 წლის განმავლობაში მის მიერ მოცემული მაგალითი.

**ჩვენ იმედის მომლოცველები ვიყავით ისრაელში,** როდესაც მოვილოცეთ უფლის მიწიერი ცხოვრების ადგილები: დაე, წმიდა მიწა, მის მიერ დაცული მოწმეობებით, იმედის მიწად ექცეს ყოველ მომლოცველს და მშვიდობის მიწად ყველა მის მკვიდრს.

**ჩვენ იმედის მომლოცველები ვიყავით რომში,** სხვადასხვა მოვლენის დროს, მათ შორის, უახლესი გახლდათ თბილისელი ძმა დემეტრეს მარტვილობის აღიარების საბუთთა წარდგენა: დაე, პეტრე და პავლე მოციქულთა და ჩვენი წმიდანების ხსოვნამ გააძლიეროს ერთობა პეტრე მოციქულის მემკვიდრესთან სხვადასხვა კონფესიისა და წესის მქონე ქრისტიანებს შორის, საეკლესიო მოძრაობებს,

ბერმონაზვნებს, მღვდლებსა და ეპისკოპოსებს შორის.

**ჩვენ იმედის მომლოცველები ვიყავით უდიდან ბათუმამდე** ფეხით მსვლელობისას: დაე, საქართველომ არ დაკარგოს თავისი ბუნების სილამაზე, თავისი მრავალფეროვნების ერთობა, თავისი კულტურის ღიაობა, ახალ თაობათა განსწავლის სიბრძნე და თავის ხელისუფალთა შორსმჭვრეტელობა.

**ჩვენ იმედის მომლოცველები ვიყავით რაბათიდან თბილისამდე** ლოცვით ფეხით მიმავალნი: დაე, იმედი მიუძღოდეს მრავალ ადამიანს მკვდარი და აღმდგარი უფლის სრული შეცნობისაკენ, კათოლიკე ეკლესიასთან სრულ ზიარებაში, და დღესაც უხმობდეს მათ სახარების სრული მსახურებისაკენ.

**ჩვენ იმედის მომლოცველები ვიყავით თბილისიდან რუსთავისაკენ მიმავალ გზაზე,** უფლის გულმოწყალების პატივსადებად აგებული ბოლო ეკლესიისაკენ: დაე, იმედმა განამტკიცოს ქველმოქმედება ყველა იმ საქმით, რასაც ჩვენი ეკლესია ახორციელებს კარიტასის, ბერმონაზვნური ორდენების, სამრევლოების, ოჯახების, მოხალისეებისა და ახალგაზრდების მეშვეობით.

**ჩვენ იმედის მომლოცველები ვიყავით თბილისიდან სტამბოლში ჩასულნი**, რათა ჩვენს პაპთან, ლეონ XIV-სთან და პატრიარქ ბართოლომეოს II-სთან ერთად აღგვენიშნა ნიკეის კრების 1700 წლისთავი: დაე, წინამორბედთა კვალდაკვალ გაწეულმა მისმა მსახურებამ განამტკიცოს მის მოძმეთა რწმენა, იმედი და სიყვარული.

**ჩვენ იმედის მომლოცველები ვიყავით წეროვანში სულიერი ვარჯიშების დასასრულს თბილისში** დაბრუნებული მღვდლებისა და მონაზვნების ჯგუფი: დაე, სიჩუმემ, სახარების მედიტაციამ, ლოცვამ და სულიერმა მიმართულებამ გამოკვებოს იმედი ჩვენი ავადმყოფების, ახალგაზრდების, ჩვენი ოჯახების, სამრევლოების, ჩვენი ბერმონაზვნური ოჯახებისა და მღვდლების.

**ჩვენ იმედის მომლოცველები ვიყავით** ჩვენი ეკლესიის ოჯახების სახით, როდესაც სხვადასხვა ნაბიჯით მივუყვებოდით აღმართს **ახალციხიდან რაბათამდე**, აღმართს, რომელსაც ხშირად შევუდგებით ხოლმე ჩვენს ცხოვრებაში: დაე, ყოველდღიური დარდით გამოწვეულმა ოხვრამ ან განსაცდელმა, ასაკობრივმა და კონფესიურმა სხვაობამ არ დააბრკოლოს ჩვენი ცხოვრების წესი კათოლიკური ტრადიციების თანახმად.

**ჩვენ იმედის მომლოცველები ვიყავით....** (თითოეული პირადად მოიგონებს, თუ როდის იყო იმედის მომლოცველი და ილოცებს სიჩუმეში).

**იმედის მომლოცველნი იყვნენ ჩვენი გარდაცვლილები:** დაე, უფალმა მიანიჭოს მათ ცოდვათა მიტევება და საუკუნო სიცოცხლე.

*(მორწმუნეთა ლოცვები 2025 წლის 27 დეკემბრის წირვისათვის, იმედის წმიდა წლის დასასრულს).*

## პაპის შეხვედრა დიპლომატიულ კორპუსთან

9 იანვარს უწმიდესი პაპი ლეონ XIV ვატიკანში მოღვაწე დიპლომატებს შეხვდა. საერთო მისალმების შემდეგ მან აღნიშნა, რომ დიპკორპუსს ახალი წევრები შეემატნენ, - ყაზახეთის, ბურუნდისა და ბელარუსის ელჩები, - და მადლობა გადაუხადა ამ ქვეყნების მთავრობებს ვატიკანთან დიპლომატიური კავშირის დამყარებისათვის. „დღეს დიპლომატია, რომელიც ხელს უწყობს დიალოგს და მხარეთა კონსენსუსისთვის იღვწის, ადგილს უთმობს ძალაზე დაფუძნებულ დემოკრატიას. ომის ჟინი იზრდება... ეს აფერხებს სამართლის უზენაესობას, რომელიც მშვიდობიანი სამოქალაქო თანაარსებობის საფუძველია“, - აღნიშნა ლეონ XIV-მ. თავის სიტყვაში პაპი შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა ადამიანის უფლებათა დარღვევა, ოჯახი, სიტყვის თავისუფლება, ქრისტიანთა დევნა თანამედროვე მსოფლიოში.

## იუბილე 2025: „ჩვენი გულის კარი ღია უნდა დარჩეს“

2025 წლის 25 დეკემბერს საზეიმოდ დაიხურა რომის სანტა-მარია-მაჯორეს ბაზილიკის წმიდა კარიბჭე. ბაზილიკის არქიპრესვიტერმა, კარდინალმა როლანდას მაკრიცკასმა თავის ქადაგებაში აღნიშნა, რომ ერთი წლის წინ პაპმა ფრანცისკემ საზეიმოდ გააღო წმიდა კარიბჭე და მისი ამ ჟესტით იმედისა და გულმოწყალების წმიდა წელიწადის დასაწყისი აღიშნა. პაპმა ლეონ XIV-მ კი ერთი წლის თავზე კარი დახურა და ამგვარად დაასრულა იუბილე, რომელმაც ორი პონტიფიკატი გააერთიანა და ეკლესიისადმი ღვთის ერთგულების ნიშნად იქცა. „წმიდა კარიბჭის დახურვა ღვთის მადლის დასასრულს როდი ნიშნავს: უფლის გული ჩვენთვის მუდამ გახსნილი რჩება. ჩვენი გულის კარიბჭე ღია უნდა დარჩეს, რათა ღვთის სიტყვა ვისმინოთ, მოყვასი შევიყვაროთ და შევუნდოთ“, - დაამატა იერარქმა.

10 იანვარს პავლე VI-ის დარბაზში უწმიდესი პაპი შეხვდა იმ საეკლესიო და საერო სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საიუბილეო წლის ღონისძიებების მომზადებასა და გამართვაში. პონტიფექსმა ხაზი გაუსვა იტალიის მთავრობის, რომისა და ლაციოს მუნიციპალიტეტების, უსაფრთხოების სამსახურებისა და სხვა სტრუქტურებისა და ორგანიზაციების წვლილს. განსაკუთრებული მადლობა კი პაპმა გადაუხადა ათასობით მოხალისეს, რომელთა მსახურება თითქოს შეუმჩნეველი, სინამდვილეში კი ძალზე ქმედითი იყო როგორც იუბილეს სამზადისისას, ასევე მთელი წლის განმავლობაში. იუბილეს სულიერ ნაყოფზე საუბრისას ლეონ XIV-მ აღნიშნა, რომ მილიონობით მომლოცველი ხელახლა შეხვდა ქრისტეს და კიდევ ერთხელ დარწმუნდა: იმედი არ კვდება, რადგან უფალი ცოცხალია და მუდამ ჩვენთან მყოფობს.

## უწმიდესი ლეონ XIV-ის პირველი საგანგებო კონსისტორიუმი

7-8 იანვარს, პავლე VI-ის დარბაზში, საგანგებო კონსისტორიუმზე ას სამოცდაათი კარდინალი შეიკრიბა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა და ინფორმაცია მის შესახებ ძალზე მწირია. წმიდა საყდრის პრეს-სამსახურმა მხოლოდ პაპის მისასალმებელი სიტყვა გამოაქვეყნა და შეხვედრის შესახებ გარკვეული დეტალები გაავრცელა. National Catholic Register-თან ლიტურგიის საკითხზე საუბრისას დურბანის საპატიო მთავარეპისკოპოსმა უილფრიდ ნეპიერმა აღნიშნა: „ჩემი აზრით, მთავარი საკითხი

იყო ის, თუ როგორ გავიყვანოთ მთელი ეკლესია ევანგელიზაციის ერთ დონეზე“. თავის მისასალმებელ სიტყვაში პონტიფესმა აღნიშნა: „აქ იმიტომ ვარ, რომ მოგისმინოთ... სინოდურობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმიერ მოსმენას გულისხმობს... ახლა სულაც არ გვმართებს რაიმე კონკრეტული ტექსტის შედგენა. ჩვენ უნდა განვაგრძოთ დიალოგი, რომელიც ეკლესიის მისიის აღსრულებაში დაგვეხმარება“. თავისი მოსაყდრეობის პირველი საგანგებო კონსისტორიუმის დასასრულს უწმიდესმა პაპმა აღნიშნა, რომ ამგვარი შეხვედრები რეგულარული უნდა გახდეს. შემდეგი კონსისტორიუმი 2026 წლის ივლისში გაიმართება.

## უწმიდესმა პაპმა ირანსა და სირიაში კონფლიქტის ესკალაცია დაგმო და კვლავ მოუწოდა უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტისაკენ

„ჩემი ფიქრები მიმართულია ახლო აღმოსავლეთისაკენ, განსაკუთრებით ირანისა და სირიისაკენ, სადაც ახლა კონფლიქტს მრავალი სიცოცხლე ეწირება“, - აღნიშნა ლეონ XIV-მ 11 იანვარს. უფლებადამცველი ორგანიზაციების მონაცემებით, თეირანში განვითარებულ მოვლენებს იმ დროისთვის სამოცდაათზე მეტი ადამიანი შეეწირა. პაპმა ასევე გულისტკივილი გამოთქვა სირიაში საბრძოლო მოქმედებების განახლების გამო. უკრაინაში მიმდინარე ომზე საუბრისას პაპმა აღნიშნა, რომ რუსეთის მხარის მიერ ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების განადგურება ზამთრის პირობებში უდიდეს ზიანს აყენებს მშვიდობიან მოსახლეობას. „ვლოცულობ მათთვის, ვინც ახლა იტანჯება. კვლავ მოვუწოდებ ძალადობის შეწყვეტისა და მშვიდობის მიღწევისთვის ღვაწლის განახლებისაკენ“, - აღნიშნა თავისი სიტყვის დასასრულს უწმიდესმა ლეონ XIV-მ.

## პონტიფექსი ვენესუელის ოპოზიციის ლიდერს შეხვდა

12 იანვარს უწმიდესი პაპი ვენესუელის ოპოზიციის ლიდერს, 2025 წლის ნობელის პრემიის ლაურეატს, მარია კორინა მაჩადოს შეხვდა. შეხვედრისას მარია მაჩადომ პონტიფექსს ვენესუელის პოლიტპატიმართა გათავისუფლების საქმეში თანადგომა და ხელშეწყობა სთხოვა. პრეზიდენტი ნიკოლას მადურო ამჟამად ნიუ-იორკის ციხეში იმყოფება. ქვეყნის მეთაურის მოვალეობებს ამჟამად ვენესუელის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, დელსი როდრიგესი ასრულებს.

## წმიდა ფრანცისკეს წელიწადი

10 იანვრის საგანგებო დეკრეტით, 2026 წელი ფრანცისკე ასიზელის სიკვდილის 800 წლისთავის დამდეგს, წმიდა ფრანცისკეს წლად გამოცხადდა. „სამყაროში, სადაც რეალურს ვირტუალური ანაცვლებს, სადაც უთანხმოება და სოციალური ძალადობა ყოველდღიურობის ნაწილად იქცა, მშვიდობა

კი სულ უფრო ძნელად მისაღწევი და შორეული ხდება, წმიდა ფრანცისკეს წელი ჩვენთვის უნდა იქცეს მოწოდებად, ყოველი ჩვენგანის შეძლების თანახმად, მივბაძოთ ასიზელ ღატაკს და ამგვარად ქრისტეს ხატებას მივუახლოვდეთ“, - ნათქვამია დეკრეტში.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

# პაპის სიტყვა, წარმოთქმული სტამბოლში

მამა დანიელე ჯაკომელი

2025 წლის 28 ნოემბერს, სულიწმიდის საკათედრო ტაძარში, პაპი ლეონ XIV შეხვდა სასულიერო პირებს, ბერმონაზვნებსა და საერო პირებს. თავის სიტყვაში პაპმა სამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება:

**1. ქრისტიანული სარწმუნოების ისტორია თურქეთში**: თურქეთს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მისიონერთა მიერ ქრისტიანობის გავრცელების ისტორიაში. ანტიოქიაში, დღევანდელი თურქეთის სამხრეთ ნაწილში, მოწაფეებს პირველად უწოდეს „ქრისტიანები“. მრავალი მოწაფე... კონსტანტინოპოლი... დღეს ურიცხვი ქრისტიანული ჯგუფი... ჩვენი ვალია, შევინარჩუნოთ ჩვენთვის გადმოცემული ქრისტიანული რწმენის თესლი.

**2. „სიმცირის“ რეალობა:** ამ ქვეყანაში კარგად ჩანს კათოლიკური ეკლესიის „სიმცირე“, მაგრამ ჩვენმა სიმცირემ და სიმყიფემ არ უნდა შეგვაშინოს. თუკი ღვთის თვალით შევხედავთ სამყაროს, დავინახავთ, რომ მან თავი დაიმცირა ჩვენ შორის ყოფნით და უბრალო მოვლენებისა და ადამიანების მეშვეობით გვესაუბრება. სიმცირეში ავლენს ღმერთი თავის სიდიადეს. იესო გვესაუბრებოდა ღვთის სამეფოზე, არა როგორც ძლევამოსილზე, არამედ როგორც მცირე თესლზე, რომელიც უხვად იძლევა ნაყოფს. „სიმცირე“ ეკლესიის ძალაა, რომელიც ძალაუფლებაზე ან სიდიადეზე კი არ ამყარებს იმედს, არამედ ღვთის ძალაზე. ამავდროულად, „მცირე“ ეკლესია ზრუნავს ჩაგრულ და ღარიბ ხალხზე.

**3. ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლო რამდენიმე გამოწვევის წინაშე გვაყენებს:** ა) პირველ რიგში, რწმენისა და ქრისტიანობის არსის გააზრება. ქრისტიანული რწმენა ქრისტესა და ეკლესიის ტრადიციაზე ამახვილებს ყურადღებას. ნიკეის ეკლესია კვლავ გვეკითხება: ვინ არის იესო ჩვენთვის?

ბ) მეორე გამოწვევა ქრისტეში მამა ღმერთის სახის ხელახალი აღმოჩენაა. ის მოგვიწოდებს, რომ მუდმივად ვიფიქროთ ჩვენი რწმენის, ლოცვის, სამწყსო ცხოვრებისა და სულიერების შესახებ, რათა ერთგული დავრჩეთ ყოველივე იმისა, რაც იესომ გაგვიცხადა. არსებობს გამოწვევა, რომელიც დღევანდელ კულტურაში და ზოგჯერ მორწმუნეთა შორისაც არსებობს. მაგალითად, როდესაც იესოს ეთაყვანებიან მხოლოდ ადამიანურ დონეზე, შესაძლოა, რელიგიური მოწიწებითაც. მისი ღვთაებრიობა, ისტორიაზე მისი ხელმწიფება ბურუსში ეხვევა და მას დიდ ისტორიულ ფიგურად წარმოიდგენენ. ნიკეის კრება შეგვახსენებს, რომ იესო ქრისტე არ არის წარსულის ფიგურა. იგი ჩვენ შორის მყოფი ღვთის ძეა, რომელიც ისტორიას ღმერთის მიერ აღთქმული მომავლისაკენ მიუძღვის.

გ) და ბოლოს, მესამე გამოწვევა: რწმენის შუამავლობა და დოქტრინის განვითარება რთულ კულტურულ კონტექსტში. ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლო რწმენის არსს თავისი დროის ფილოსოფიურ-კულტურული კატეგორიების მეშვეობით გამოხატავდა, მალე სხვა ფორმულები გახდა საჭირო, სწორედ ასე დაიბადა ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლო. აქედან მნიშვნელოვან გაკვეთილს ვსწავლობთ: რწმენის არსი უნდა განვასხვავოთ მისივე გამომხატველი ისტორიული ფორმულებისაგან, იმ ფორმულათაგან, რომლებიც ყოველთვის დროსთანაა დაკავშირებული, დროებითია და შეიძლება შეიცვალოს დოქტრინის უფრო ღრმად გააზრებასთან ერთად. დაბოლოს, პაპმა მოგვიწოდა, რომ

არ დაგვღალოს ჩვენმა სარწმუნოებრივმა მოვალეობებმა და გავყვეთ იმ სულიერ წინამძღოლებს, რომლებიც ნათელს ჰფენენ ჩვენს ცხოვრებასა და საქმეებს.

**პაპ ლეონ XIV-ის ქადაგება წმიდა წირვისას, ფოლკსვაგენ არენა სტამბოლში, 2025 წლის 29 ნოემბერს**

ადვენტის პირველი კვირის საკითხავებით შთაგონებული, პაპი შემდეგ კომენტარს უკეთებს ესაიას ტექსტს: იერუსალიმის სიმბოლო, ბორცვზე აგებული ქალაქი, რომელიც ყველას ღმერთისკენ იზიდავს, გვახსენებს, რომ მრავალი ადამიანი დაეხმარა სხვებს ქრისტესთან შეხვედრაში; ამგვარად შეხვდა იესოს ანდრია, იოანე ნათლისმცემლის მიერ შეგულიანებული, და თავისი ძმის მისიონერი გახდა. საუკუნეების შემდეგ, წმ. ავგუსტინე, წმ. ამბროსის მხურვალე ქადაგების წყალობით, მიეახლა უფალს; და სხვა მრავალი მსგავსი მაგალითი არსებობს. ყველას შეგვიძლია გავხდეთ რწმენის მისიონერები. ჩვენი ცოცხალი მაგალითები მიიზიდავენ სხვებს იესოსთან, ეს მაგალითები სასწაულებზე ძლიერია. ამიტომაც, ჩვენი ვალია რწმენის განმტკიცება ლოცვისა და წმ. საიდუმლოთა მეშვეობით; დღენიადაგ სიყვარულით ვიცხოვროთ და, როგორც წმ. პავლე ამბობს, მივატოვოთ სიბნელის საქმენი და შევიმოსოთ ნათლის საჭურველი. მრავალი წმიდანის მაგალითისამებრ, მზად ვიყოთ, გავუღოთ კარი ქრისტეს, რომელიც ჩვენს კარზე აკაკუნებს. ესაია კვლავ საუბრობს იმ ადგილის შესახებ, სადაც მშვიდობა სუფევს: *,,გაასამართლებს ის ერებს და ამხილებს ის მრავალ ხალხებს; და გამოჭედავენ ისინი თავიანთ მახვილებს სახნისებად და თავიანთ შუბებს – ნამგლებად; აღარ აღმართავს ერი ერზე მახვილს, და აღარ ისწავლიან მეტად ბრძოლას“*. მშვიდობისკენ მოწოდება ფრიად აქტუალური და აუცილებელია ჩვენს დროშიც. მშვიდობისკენ მოწოდებისას, პაპმა ყურადღება გაამახვილა თურქეთში ვიზიტის ლოგოზე, რომელზეც გამოსახულია ხიდი, როგორც ორი კონტინენტის გაერთიანების სიმბოლო. ეს შეგვახსენებს ჩვენი საერთო ძალისხმევის მნიშვნელობას - ავაგოთ ერთიანობის ხიდები საკრებულოებში, სხვა ქრისტიანული კონფესიის მორწმუნეებთან ეკუმენურ ურთიერთობებში და სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან შეხვედრებისას.

სტამბოლში სამი ხიდია; ამიტომ ჩვენც შეგვიძლია გვქონდეს ერთიანობის სამმაგი კავშირი: ერთიანობის პირველი კავშირი კათოლიკე ეკლესიის რიტუალების მრავალფეროვნებაშია (რომელიც თურქეთში ოთხი განსხვავებული ლიტურგიკული ტრადიციით არის წარმოდგენილი: ლათინური, სომხური, ასირიული და ქალდეური) და ეს ერთობა ძლიერი და უძლეველია, რადგან ეს მისი წყალობაა, მაგრამ მას ჩვენი ძალისხმევაც სჭირდება.

ერთიანობის მეორე კავშირი ეკუმენიზმია. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვითხოვთ იმ ერთიანობას, რომელიც იესო ქრისტემ მხურვალე ლოცვებით შესთხოვა ზეციერ მამას, დღეს ჩვენ ვანახლებთ ჩვენს „დიახ“-ს ერთიანობის მიმართ, რათა ყველანი ერთ იყვნენ - „Ut unum sint“.

ერთიანობის მესამე კავშირი არაქრისტიანულ საკრებულოთა წევრებთან დამოკიდებულებაა. რელიგია ძალიან ხშირად გამოიყენება ომებისა და სისასტიკის გასამართლებლად: სწორედ ამიტომ უნდა ვიაროთ ერთად, დავაფასოთ ის, რაც გვაერთიანებს, დავამსხვრიოთ ცრურწმენებისა და უნდობლობის კედლები, ხელი შევუწყოთ ურთიერთგაგებასა და პატივისცემას; ყველას მივაწოდოთ იმედის ძლიერი გზავნილი და მოვიხმოთ, რათა გახდნენ მშვიდობისმყოფელნი. ერთიანობისაკენ ჩვენი სწრაფვა მაშინ მიიღწევა, როდესაც სრულიად გავერთიანდებით ღმერთთან და ერთმანეთთან ზეცაში.

# ღვაწლმოსილი კათოლიკე მამულიშვილი - სულხან-საბა ორბელიანი 300

ნუგზარ ბარდაველიძე

სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ყველაზე ერთგული, გამოცდილი, განათლებული და გონიერი პიროვნება, საგანგებო დავალებათა აღმსრულებელ დიპლომატად გვევლინება. ვახტანგ VI-ის დავალებით, 1711-12 წლებში იგი სპეციალური მისიით სტუმრობს ირანს, 1713-16 წლებში კი ევროპის ქვეყნებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლავთ ყველაზე უკეთ მომზადებული დიპლომატიური მისია, როდესაც სულხან-საბა არა მხოლოდ ქართველი მეფის ინტერესების დაცვას ცდილობს, არამედ ზუსტად ითვალისწინებს ევროპის მონარქთა აღმოსავლურ ინტერესებსაც, რაც მის მოლაპარაკებებს დიდ დიპლომატიურ წონას სძენს. სულხან-საბა ხვდება ვერსალში ლუი XIV-ს, შემდგომ ორი მნიშვნელოვანი ვიზიტი აქვს რომის პაპ კლიმენტი XI-სთან, საქართველოსაკენ მომავლი, შეხვდება ვენეციის დოჟს, მალტის ორდენის დიდ მაგისტრს... აქ აღსანიშნავია ერთი საყურადღებო ფაქტი: **წმიდა საყდარი ვატიკანში საქართველოს პირველ ოფიციალურ ელჩად სწორედ სულხან-საბა ორბელიანს აღიარებს.** 1724 წელს, ვახტან VI-მ, რუსეთში გადახვეწამდე, საგანგებო მისიით მიავლინა სულხან-საბა მოსკოვში, რათა შეეთანხმებინა ქართლის მეფისა და მის მრავალრიცხოვან თანმხლებ პირთა მიღების პირობები. სამწუხაროდ, მხცოვანმა და ავადმყოფობით დასუსტებულმა სულხან-საბამ ვეღარ გაუძლო რუსეთის მკაცრ კლიმატს და 1725 წლის თებერვალში მოსკოვში გარდაიცვალა. ამრიგად, სულხან-საბა არის პირველი ქართველი ოფიციალური დიპლომატი, რომელიც ევროპას სტუმრობდა სახელმწიფოებრივი მისიით. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ქართველ დიპლომატთა პროფესიული დღესასწაული - **დიპლომატის დღე** სულხან-საბა ორბელიანის დაბადების დღეს უკავშირდება და ყოველი წლის 3 ნოემბერს აღინიშნება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სულხან-საბა ორბელიანის გარდაცვალებიდან 300 წელი სათანადოდ აღინიშნა ჩვენს ქვეყანაში, ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება, თემატური შეხვედრა, სამეცნიერო კონფერენციები და ამ ღონისძიებების ორგანიზებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი კათოლიკე ეკლესიის კულტურის კომისიამ ითავა. კომისიის ხელმძღვანელის, მამა გაბრიელე ბრაგანტინის ხელმძღვანელობით, 2024 წლიდან დაიგეგმა და 2025 წელს განხორციელდა რამდენიმე აქტივობა, რომელთა შორის გამორჩეული იყო სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ივნისის თვეში ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმი; ასევე, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ საქართველოში მოღვაწე მღვდელმსახურებისა და მონაზვნებისათვის ჩაატარა თემატური შეხვედრა ტანძიაში, სულხან-საბა ორბელიანის სახლ-მუზეუმში. ამ ორ ღონისძიებას ჟურნალმა ,,საბამ“ სპეციალური პუბლიკაციებიც მიუძღვნა.

გასულ დეკემბერს, მამა გაბრიელე ბრაგანტინის ორგანიზებით, სულხან-საბასადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას უმასპინძლა **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა**. ამ კონფერენციამ, რომელსაც მრავალი ქუთათური ესწრებოდა, კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ როგორ აფასებენ და პატივს სცემენ მამა გაბრიელე ბრაგანტინის ქუთაისში. თუმცა აქვე არიან ადამიანები, უნდობლობით განწყობილი ადგილობრივი კათოლიკური სამრევლოსადმი. მარიამის უბიწოდ ჩასახვის დღესასწაულზე, რომლის სახელსაც ატარებს ადგილობრივი სამრევლო, წელიწადში ერთხელ, 8 დეკემბერს, საკრებულოს წევრები, მართლმადიდებელ იერარქთან შეთანხმებით, ყოველთვის სტუმრობდნენ თავიანთ ყოფილ ტაძარს, რომელიც ამ სამი ათეული წლის წინ მართლმადიდებელ სამრევლოს გადასცეს, და ლოცვებს აღავლენდნენ. სამწუხაროდ, ბოლო ორი წელია, ტაძარი, რომელიც ამჟამად ხარების სახელს ატარებს, კათოლიკე მორწმუნეთათვის გაუგებარი მიზნითაა დაკეტილი ამ დღეს. **წელსაც, ისევე როგორც შარშან, 8 დეკემბერი ამ ტაძარში სანიტარულ დღედ გამოცხადდა და ინდივიდუალური წესით მისულ**

**ქუთათურ კათოლიკეებს არ მიეცათ თავიანთი ისტორიული ტაძრის მონახულების საშუალება.**

23 დეკემბერს კი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის გარდაცვალებიდან 300 წელს მიეძღვნა. საორგანიზაციო კომისიის წევრი გახლდათ მამა გაბრიელე ბრაგანტინი. კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ, რომელმაც აქცენტი გააკეთა სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლზე და აღნიშნა, რომ ,,სწორედ მან დაუდო ევროპასთან ინტელექტუალურ და პოლიტიკურ დიალოგს სისტემური საფუძველი და რომ მისი მემკვიდრეობა დღემდე რჩება ევროპული კვლევების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ“. მონაწილეებს მიესალმა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოდგილე ზვიად გაბისონია; ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი); მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე); თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე. მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ გააკეთა პლენარული მოხსენება, რომელიც შეეხებოდა სულხან-საბა ორბელიანის ელჩობასა და საფრანგეთის გეო-ეკონომიკურ ინტერესებს კავკასიაში. ის უდავოდ იმსახურებს ყურადღებას, რადგან მომხსენებელმა სრულიად განსხვავებულად, მკვეთრად დადებით ასპექტში წარმოადგინა სულხან-საბას ელჩობა ევროპაში, ხაზი გაუსვა ევროპულ კონტექსტში კარგად მომზადებული და განხორციელებული ვიზიტის მნიშვნელობას და ახსნა, რომ, მიუხედავად ზუსტი დაგეგმვისა, ელჩობის მომდევნო წლებში, საფრანგეთში განვითარებულ ობიექტურ მიზეზთა გამო, ამ მისიამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ სტუ-ში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენცია დამაგვირგვინებელ აკორდად იქცა დიდი მოღვაწის, სასულიერო პირის, დიპლომატისა და მწერლის, სულხან-საბა ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო წლის ღირსეულ აღნიშვნაში. დასასრულ, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციასთან არსებულმა კულტურის კომისიამ, რომელსაც მამა გაბრიელე ბრაგანტინი ხელმძღვანელობს, კარგად გაართვა თავი სულხან-საბა ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ჩატარებას და მთელი წლის განმავლობაში დიდი მამულიშვილისადმი მიძღვნილმა შეხვედრებმა კიდევ ერთხელ გაახსენეს ქართულ საზოგადოებას გამოჩენილი ქართველი კათოლიკე მამულიშვილის ღვაწლი.

# იმედის საიუბილეო წმინდა წელი დასრულდა

ნუგზარ ბარდაველიძე

იმედის საიუბილეო წმინდა წელი 2024 წლის 24 დეკემბერს დაიწყო, როდესაც პაპმა ფრანცისკემ წმ. პეტრეს ბაზილიკის კარიბჭე საზეიმოდ გახსნა, ხოლო დასრულდა 2026 წლის 6 იანვარს  პაპ ლეონ XIV-ის მიერ წმ. პეტრეს ბაზილიკის კარიბჭის დახურვით. კათოლიკურ ეპარქიებში, შობიდან ეპიფანიამდე დღესასწაულების ინტერვალში, ადგილობრივ მმართველ ეპისკოპოსთა მიერ ასევე დაიხურა ეპარქიებისა და სამოციქულო ადმინისტრაციების მთავარ ტაძართა კარიბჭეებიც. წლის განმავლობაში მილიონობით კათოლიკე მორწმუნემ მოილოცა მარადიული ქალაქის ადგილობრივი ეპარქიული მთავარი ტაძრები.

კათოლიკურ სამყაროში, რომის პაპ ბონიფაციუსის გადაწყვეტილებით, საიუბილეო წელი  პირველად 1300 წელს აღინიშნა.  2000 წელს ქრისტიანობის მეორე ათასწლეულისადმი მიძღვნილი საიუბილეო წლის აღნიშვნაში  პირველად მიიღეს მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა სამრევლოდან წარგზავნილმა მორწმუნეებმა; ეს პირველი მომლოცველობა იმ ისტორიული ფაქტითაც იყო გამორჩეული და საზეიმო, რომ წმ. პეტრეს ბაზილიკაში პაპმა იოანე-პავლე მეორემ საზეიმო მსახურებისას ეპისკოპოსად დაასხა ხელი სამხრეთ კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორს, მეუფე ჯუზეპე პაზოტოს.

2004 წელს, იმედის საიუბილეო წლის მოსამზადებელ პერიოდში, სამხრეთ კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორმა, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ ოთხი ტაძარი (თბილისის საკათედრო, ბათუმის, ახალციხისა და რუსთავის) აკურთხა ადგილობრივი მომლოცველობის ცენტრებად; მისივე გადაწყვეტილებით, მომლოცველობის ჟამის განმავლობაში, იმედის წლის განსაკუთრებულ სიმბოლოდ  იქცა ქალაქ გორის კათოლიკური სამრევლოს მფარველი მაცხოვრის ჯვარცმის თბილისის საკათედრო ტაძარში გადმობრძანება. მეუფის ეს გადაწყვეტილება  უდიდესი სიმბოლური  საჩუქარი გახდა როგორც თბილისის, ასევე სრულიად საქართველოს კათოლიკე მრევლისათვის, წლის განმავლობაში ასეულობით მორწმუნეს, ვინც კი სტუმრობდა საკათედრო ტაძარს, საშუალება ჰქონდა, თაყვანი ეცა ამ გამორჩეული და მადლმოსილი ჯვარცმისათვის.

2027 წლის 27 დეკემბერს, მეუფე ჯუზეპე პაზოტომ, საქართველოს ყველა კათოლიკური საკრებულოს წარმომადგენელ მღვდელმსახურებთან ერთად, იმედის საიუბილეო წლის დახურვის საზეიმო მსახურება აღავლინა საკათედრო ტაძარში. განსაკუთრებულ აღნიშვნას  იმსახურებს მეუფის ქადაგება საიუბილეო წელთან დაკავშირებით; მან ყურადღება

გაამახვილა სამ გამოწვევაზე, რომელიც თან სდევდა საიუბილეო წლის მომლოცველობებს, გავლენას ახდენდა და განსაზღვრავდა მომლოცველთა ცხოვრებას ამ წლის განმავლობაში: ,,სამი სიტყვა დატოვა საიუბილეო წელიწადმა ჩვენს გულებში; **პირველი არის ჟამი, დრო**. ჩვენ გავიარეთ ერთი წელიწადი, საიუბილეო წელიწადი, რომელიც შეეხო დროს. მას ბერძნულად ორი მნიშვნელობა აქვს და ორი სიტყვით გამოიხატება: **ქრონოსი და კაიროსი**. დროს აქვს ორი განზომილება, პირველი არის განგრძობითობა, რომელიც დროის ხანგრძლივობას გვიჩვენებს და ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნება დროის სიგრძე; მეორე არის დროის სიფართოვე, სივრცობითობა, ანუ რამდენად მნიშვნელოვანია, რამდენად შემეცნებითია კონკრეტული დროის მონაკვეთი; ამ დროს ეწოდება კაიროსი. თუ მე ვცხოვრობ სიგრძით განზომილებაში, ეს არის ქრონოსი, გრძელი, მაგრამ მონოტონური დრო. ამ შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ დროის ხანგრძლივობა გვაინტერესებს. დროის მეორე განზომილება - კაიროსი არის სივრცობითობა, თუ დრო არის ვრცელი, ფართო, მასში ხდება მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა; ამ დროის განმავლობაში შეიძლება რაღაც გავაკეთო, ჟამი გაცოცხლდება, როცა გახდება კაიროსი, ამ დროში მთავარია ხარისხი და არა მისი ხანგრძლივობა, ანუ ჩემი ცხოვრება იქნება სავსე. კაიროსის დროს მე ვხდები ის, ვინც შექმნა ჟამი; კაიროსი არის დრო, როცა ვხდები ის, ვინც ცხოვრობს ამ ჟამში, და ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ ღმერთი ამ ჟამში. ჩვენ ვიცით, რომ ჟამი არის უფლის ტაძარი. როცა სავსე იყო ჟამი, იესო განკაცდა, ჟამი არ არის ადგილი, ჟამი არის სიცოცხლე, ღმერთი არის სიცოცხლე, თუ მე ვფიქრობ სიცოცხლეზე, ყოველი წუთი, ყოველი მომენტი არის ძვირფასი, ვინაიდან კაიროსი არის დრო, როცა მე შევძლებ შევხვდე ღმერთს. ამიტომ უნდა ვიგემოთ ჩვენი ცხოვრების ყოველი მომენტი, ამიტომ ზოგჯერ აუცილებელია მდუმარებაში ყოფნა, ცხოვრების რიტმის შეცვლა. თუ მე ვერ ვპოულობ ღმერთს ჟამში, მაშინ იესო ჩემთვის არ განკაცდა, ის ჩემთვის არ იშვა, ამიტომ უნდა დავფიქრდე, როგორი იქნება ჩემი ცხოვრება მომავალში.

**მეორე სიტყვა არის გზა,** საიუბილეო წელს იყო ბევრი მომენტი, როცა ჩვენ ვიყავით მოგზაურები. გზა ნიშნავს ცვლილებებს, გადაადგილებას, ასევე დაღლას; დაღლილობის დროს მე ვპოულობ ახალ ძალას, ამიტომ ეს არის, ამავე დროს, აღზრდაც, და ჩემი სიცოცხლე ნიშნავს ზრდას. თუ დავრჩები ისეთი, როგორიც ვარ და სადაც ვარ, არ იქნება გზა, სიარული, არ იქნება განვითარება და სიცოცხლე. როდესაც გზაზე ვართ მრავალი დღე, ვიღლებით, მაგრამ ვპოულობთ ახალ ძალებს; გზა ნიშნავს მარტოობას და, ამავე დროს, სხვებთან ერთად ყოფნასაც, გზა ნიშნავს ნდობას და, ასევე, ლოცვას და ღმერთთან ყოფნასაც.

**მესამე სიტყვა არის იმედი**, რა არის იმედი? ამაზე ხშირად გვქონდა საუბრები საკრებულოში, ჩვენ უნდა გვქონდეს ჭეშმარიტი იმედი გულში; იმედია, როდესაც გაქვს მომავლის რწმენა, იმედი არის აღდგომა და ეს ჯვარცმაც არის იმედის ნიშანი; იმედი აღდგომიდან მოდის და ეს ჯვარი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში იყო აქ და ახლა დაბრუნდება გორში, არის იმედის ნიშანი. თუ ამ წლის განმავლობაში ვიპოვეთ ის საიდუმლო, ის მადლი, რომელიც მომზადებული იყო ჩვენთვის, მაშინ ღირდა ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ცხოვრება არის აქ, სადაც ვართ, აქ, ვისთანაც ვართ, აქ, ღმერთთან“.

ყოველი მნიშვნელოვანი გამოცდილება, ხელახლა რომ არ გახდეს საჭირო მისი განცდა, საჭიროებს მეხსიერებას, სწორედ ამიტომ, საზეიმო წირვის ბოლოს, ეპისკოპოსმა კიდევ ერთი სამახსოვრო საჩუქარი მოუმზადა საქართველოს კათოლიკურ საკრებულოებს. მისი სურვილით, ყველა სამრევლოს წინამძღვარს დაურიგდა ქვა, მასზე ამოკვეთილი საიუბილეო წლის სამახსოვრო ნიშნებით, თავიანთ ტაძრებში გამოსაფენად. ეს ქვა უბრალო არ არის, ეს არის იმ მარმარილოს ქვა, რომელიც ამ 25 წლის წინ დარჩა საკათედრო ტაძრის მოპირკეთებისას, ამაზე იფიქრა ეპისკოპოსმა და გამოიყენა საიუბილეო წლის სამახსოვრო სიმბოლოდ. შემდგომ, სხვადასხვა საკრებულოს მღვდელმსახურთა და მრევლის წევრთა თანხლებით, სავარდის ლოცვითა და გალობით, წმინდა ჯვარცმა დაუბრუნდა მის კანონიერ, თუმცა არა ისტორიულ ადგილ-სამყოფელს, გორის წმინდა ოჯახის საკრე-

ბულოს. მაცხოვრის ეს ჯვარცმა, რომელიც მე-19 საუკუნეში შეიქმნა ნეაპოლში, გორის კათოლიკური ტაძრის მშვენება გახლდათ ათწლეულების განმავლობაში, სანამ ტაძარს კათოლიკე მრევლს ჩამოართმევდნენ, შემდგომ კი ნაგებობას არამიზნობრივად გამოიყენებდნენ. ჯვარცმა სასწაულებრივად გადარჩა, გორის აღდგენილ სამლოცველოს დაუბრუნდა და წლების განმავლობაში წმინდა ოჯახის საკრებულოს უმთავრეს სიწმინდეს წარმოადგენდა. კიდევ ერთი ადამიანური ემოცია საიუბილეო წელთან დაკავშირებით, განშორების ცრემლები შეინიშნებოდა თბილისის საკათედრო ტაძრის მრევლის წევრებში, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში ძალზედ შეეჩვივნენ ჯვარცმას და უჭირდათ მასთან გამომშვიდობება, ხოლო სიხარულის ცრემლები ბრწყინავდა გორის სამრევლოს წევრთა თვალებში, რომლებსაც, ერთწლიანი მონატრების შემდგომ, დაუბრუნდათ საყვარელი ჯვარცმა.

დასრულდა საიუბილეო წელი და საქართველოს კათოლიკეები, მთელ კათოლიკურ სამყაროსთან ერთად, იმედით ველოდებით ახალ საიუბილეო წელიწადს. დაბოლოს, შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ საკათედრო ტაძრის მრევლის წევრს, ქალბატონ თინა ჯანაშვილს; ეს შემთხვევითი არ არის, ქალბატონი თინა გახლდათ 2000 წელს პირველი მომლოცველობის მონაწილე და 2025 წელსაც მან საკათედრო ტაძრიდან განხორციელებულ ყველა მომლოცველობაში მიიღო მონაწილეობა.

**თინა ჯანაშვილი:** ,,ნაპერწკალო ჩვენო იმედისა, ეს გალობა ზეცად აღზევდეს", - ამ საგალობლით დასრულდა წირვა და დაიხურა საკათედრო ტაძრის საიუბილეო წელიწადი ,,წელი იმედისა". შემდეგ გავემგზავრეთ გორში, რათა დაგვებრუნებინა იესოს ჯვარცმა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იყო ჩვენთან, ასე რუდუნებით, ასე სიყვარულით რომ მოგვაბარა გორის მცირე, მაგრამ მტკიცე რწმენის მრევლმა, ჯვარცმა, გამოძევებული ტაძრიდან, რომელიც მართლმადიდებლებმა მიითვისეს, და რომელსაც გორის პატარა სამლოცველოში ასე უვლიდნენ. გულში გავიფიქრე, ნეტავი აქ, ჩვენს საკათედრო ტაძარში დატოვონ-მეთქი, ისე მივეჩვიე. ორი დღით ადრე, ჯვარცმის გორში წაბრძანებამდე, ხუთშაბათს, თაყვანისცემის დასასრულს, როცა უფალს ტერფზე ვემთხვიე, დავინახე, რომ სამსჭვალი აღარ ჰქონდა... ვიღაც პატარა ბიჭს ამოეძრო... გული დამიმძიმდა, ამდენხანს ვუფრთხილდებოდით და ახლა ეს როგორ მოხდა, ვერ ვიჯერებდი... ის ღამე ლოცვაში გავათენე... ნუთუ ასე დავისაჯე ჩემი ფიქრისთვის? იმედს არ ვკარგავდი და, მართლაც, საბედნიეროდ, მეორე დღეს პატარა ბიჭის მშობლებმა უფლის სამსჭვალი უკან დააბრუნეს. მადლობა ღმერთს ამ იმედისთვის, მადლობა ამ ულამაზესი წელიწადისათვის. მადლობა, რომ მომცა ძალა, რწმუნა იმისა, რომ არ უნდა შევჩერდე, უნდა გავაგრძელო უფლისკენ სავალი გზა, სავსე იმედითა და სიყვარულით. ,,იმედის წელმა" ეს დამანახა, ეს შემაძლებინა".

# ცამეტი პაპის სიტყვებსა და ქმედებებში გამოხატული სამშვიდობო სურვილები

როგორი თვალსაზრისი ჰქონდა ეკლესიას მეოცე საუკუნის ომებთან დაკავშირებით, რომლებმაც სამჯერ მეტი მსხვერპლი მოიტანა, ვიდრე I-დან XIX საუკუნემდე პერიოდში? როგორი იქნებოდა ჩვენი სამყარო, თუ პირველი მსოფლიო ომიდან მოყოლებული დღემდე პაპების სამშვიდობო მოწოდებებს მხედველობაში მიიღებდნენ? ცამეტი პაპი - პიუს IX-დან პაპ ლეონამდე. საოცარია, როგორ თანხვედრაშია მათი სიტყვები და საქმეები, შთაგონებული არა მხოლოდ მათი ქრისტიანული რწმენის სიღრმისეული განცდით, არამედ თანადროულ მოვლენებში მხურვალე ჩართულობითაც. როდესაც მათ დოკუმენტებს ვეცნობით, ვხვდებით, რომ საჭიროა ვისაუბროთ „მშვიდობის თეოლოგიის“ ევოლუციაზე, საბოლოო ჯამში, ეს არის ერთი ხმა, ერთი „მოწოდება“, რომელიც, სამწუხაროდ, შეუსმენლი დარჩა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. მე-19 საუკუნის შუახანებში ტრადიციული ომი გადაიქცა „თანამედროვე ომად“, ბირთვული ეპოქის ომად. თუმცა, ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ (1989), კონფლიქტების რაოდენობა გაიზარდა სახელმწიფოებში, მაგალითად, კოსოვოში, უკრაინაში, „დავიწყებული ომები“ აფრიკაში, დაუსრულებელი „სამოქალაქო ომები“ ლათინურ ამერიკაში, აჯანყებები ახლო აღმოსავლეთში. ომის ბუნება იცვლება: სახელმწიფოები ომს აღარ აჩაღებენ, მე-20 საუკუნის ბოლო წლებში გაჩნდა ეთნიკური კონფლიქტებით ან საერთაშორისო ტერორიზმით გამოწვეული ომები და, სამწუხაროდ, „რელიგიური“ ომებიც. და არა მხოლოდ ეს. ძირითადი კონფლიქტები კერძო ინტერესებიდან მომდინარეობს, საკმარისია, გავიხსენოთ ფინანსური კონფლიქტები, რასაც შედეგად მოჰყვება საერთაშორისო ცვლილებები და კერძო სფეროს განვრცობა დემოკრატიული პოლიტიკის მიღმა. შემდეგ, პარლამენტების ისტორიაში პირველად, მათ არ დაამტკიცეს საკუთარი მთავრობების (დემოკრატიული თუ ავტორიტარული)მიერ ომებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები. ობამადან დაწყებული, კამერონითა და ოლანდით დამთავრებილი, მათ თავიანთ პარლამენტებთან მოუწიათ საქმის დაჭერა. და ბოლოს, მედიის როლი სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება, როგორც მშვიდობისა და ომის პირობა, როგორც ის ფაქტი, რომ მშვიდობის მომავალი სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული საზოგადოებრივი აზრის კონტროლზე, რადგან სამოქალაქო საზოგადოება სულ უფრო მეტად აცნობიერებს მშვიდობის მნიშვნელობას.

**პიუს IX (1846-1878)** - პაპ პიუს IX-ის ხანგრძლივი პონტიფიკატი, 1846 წლიდან 1878 წლამდე, მოიცავდა იტალიის გაერთიანების დიდ მოვლენას, რასაც შედეგად მოჰყვა პაპის საერო ძალაუფლების დაცემა. უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო 1848 წლის 29 აპრილის „მოწოდება“, რომელიც მოწმობს ამ პაპის ცხოვრებისეული ქარტეხილის მასშტაბებს, იგი სრულად აცნობიერებდა იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის უკიდურესობებს, ერთი მხრივ, იყვნენ ისინი რომლებსაც თავდაპირველად იმედი ჰქონდათ, რომ ის თავად უხელმძღვანელებდა იტალიის გაერთიანებისათვის მოძრაობას და, მეორე მხრივ, ისინი, რომლებიც მას რეაქციული და კონსერვატიული პოზიციების მაქსიმალურ გამომხატველად მიიჩნევდნენ. ეს დოკუმენტი ასევე ნათლად მოწმობს ეპოქალური ცვლილებების მორევში ჩავარდნილი რელიგიური ავტორიტეტის პირად ტანჯვას; ამავდროულად, აჩვენებს, თუ როგორ ახერხებდა იგი მოვლენებისა და ვნებების ამ მორევში ყოველთვის მტკიცედ ემართა ეკლესიის საჭე, მიემართა იგი მშვიდობისა და სამოქალაქო თანაარსებობის ჰორიზონტისაკენ, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანის პიროვნების პატივისცემას. მშვიდობაზე ფიქრმა დააახლოვა კათოლიკეები და პროტესტანტები, რომლებიც ერთობლივად შეუდგნენ რომში სკოლების დაარსებას საერთაშორისო სამართლის შესასწავლად და სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების გადასაჭრელად დამოუკიდებელი საერთაშორისო არბიტრების მომზადებას.

**ლეონ XIII (1878-1903)** - ომისა და მშვიდობის შესახებ ლეონ XIII-ის სწავლების გასაგებად ფუძემდებლური მნიშნელობა აქვს მის სამოციქულო გზავნილს Principibus populisque universis, რომელშიც მან განსაზღვრა უაღრესად აქტუალური კონცეფცია: მშვიდობა არ შეიძლება იყოს შეიარაღებული; იგი გულისხმობს ომის სისტემის გადააზრებას და, იმისათვის რომ იყოს დადებითი და ასევე შესაძლებელი, ის უნდა ეხებოდეს სამართლიან და ასეთად აღქმულ სოციალურ და პოლიტიკურ წესრიგს. დასკვნით ნაწილში პაპმა ასევე გამოთქვა შეხედულება ქრისტიანული გლობალიზაციის სასარგებლოდ: „დრო იცვლება და ქრისტიანული რელიგიის სიკეთე მნიშვნელოვნად იზრდება, რადგან, როგორც არასდროს, ისე ძლიერად შეაღწია ადამიანური ძმობის განცდამ კაცთა სულებში და არცერთ ეპოქაში არ მომხდარა, რომ ადამიანები ყველა საშუალებით ესწრაფვოდნენ ურთიერთგაგებასა და ერთმანეთისათვის სარგებლის მოტანას. წარმოუდგენელი სისწრაფით იკვეთება ხმელეთი და ზღვა, არა მხოლოდ ვაჭრობისა და სამეცნიერო კვლევებისათვის, არამედ ღვთის სიტყვის გასავრცელებლადაც“. 1899 წლის 18 მაისს, განიარაღების შესახებ ჰააგის კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 26-მა სახელმწიფომ, ზოგიერთმა ქვეყანამ პაპი, მისი „საყოველთაო მამობის“ ძალით, კონფლიქტების თავდებად აღიარა. ამ პერიოდში წმიდა საყდარმა საერთაშორისო ასპარეზზე სანდოობის მოპოვება სწორედ მშვიდობის თემის წყალობით დაიწყო.

**პიუს X (1903-1914)** - პაპი პიუს X ,,პაციფისტი“ იყო თავად ამ ტერმინის გაჩენამდე, ომისადმი ძლიერი ზიზღის გამო; მაშინაც კი, თუ მისი წინააღმდეგობა რწმენაზე იყო დაფუძნებული და არა პოლიტიკურ იდეოლოგიაზე, იგი აცხადებდა, რომ მშვიდობა შეუძლებელია სამართლიანობის გარეშე და რომ ნამდვილი მშვიდობა სამართლიანობის შედეგია. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე,

მან დაწერა სამოციქულო მოწოდება „Dum Europa“, რომელშიც ღმერთს ევედრებოდა, ,,რაც შეიძლება მალე შეწყვეტილიყო ომის კატასტროფული ფაზები“, და რომ „ხალხთა უზენაეს მმართველებს მშვიდობაზე ეფიქრათ და არა ტანჯვაზე“. ავსტრიის ელჩს, რომელმაც მას მოუწოდა, ეკურთხებინა ავსტრია-უნგრეთის ჯარები, მან ასე უპასუხა: „მე ვაკურთხებ მშვიდობას“. გარდაუვალის მოლოდინში, პაპმა, რომელიც არასდროს თმობდა მშვიდობას, გადაწყვიტა, თავი მიეძღვნა ევროპული ძალებისაგან ეკლესიის სრული სოციალურ-პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, და მისი ეს პოზიცია გახდა წმიდა საყდრის საქმიანობის მუდმივი მახასიათებელი კონფლიქტის პირობებში.

**ბენედიქტე XV (1914-1922)** - განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბენედიქტე XV-ის ფიგურა,

რომელიც ამაოდ იბრძოდა პირველი მსოფლიო ომის ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ. 1917 წლის 1-ელ აგვისტოს მეომარი მხარეებისადმი გაგზავნილ ნოტაში, რომელშიც ბენედიქტე XV-მ ომს „უსარგებლო ხოცვა-ჟლეტა“ უწოდა, სთავაზობდა სამშვიდობო მოლაპარაკებების დეტალურ და პრაქტიკულ გეგმას, რომლის შეთავაზებაც ვერცერთმა სახელმწიფოს მეთაურმა ვერ შეძლო. თუმცა მისი წინადადება დიდმა სახელმწიფოებმა უარყვეს, ბენედიქტე XV დიპლომატიურ ასპარეზზე დღესაც „მშვიდობის პაპად“ მიიჩნევა. მისი პონტიფიკატი ასევე ხასიათდებოდა ომის მსხვერპლთა მუდმივი დახმარებით და კათოლიკური პაციფიზმის ხელშეწყობით, რამაც გავლენა მოახდინა წმიდა საყდრის შემდგომ სამშვიდობო მცდელობებზე. ამის დასტურია სტამბოლში აღმართული ძეგლიც.

**პიუს XI (1922-1939)** - პიუს XI-ს ფაშიზმის, ნაციზმის აღზევებისა და კომუნიზმის გაძლიერების მღელვარე პერიოდში მოუწია ცხოვრება. იგი ცდილობდა

ფაშიზმთან გონივრული შეთანხმების მიღწევას და 1929 წელს ხელი მოაწერა ლატერანის პაქტებს, ხოლო ნაციზმი დაგმო 1937 წელს გერმანელი ეპისკოპოსებისადმი მიმართულ ენციკლიკაში „Mit Brennender Sorge“. იმავე წელს გამოიცა ენციკლიკა Divini Redemptoris, რომელშიც მტკიცედ აკრიტიკებდა ათეისტურ კომუნიზმს. თუმცა ამ დოკუმენტებმა ვერ გადაჭრა ქრისტიანული გამოცდილების შეუთავსებლობა ამ რეჟიმებთან. ის მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობის მომხრე იყო თავისი სამშვიდობო მოწოდებებით, ომისა და დევნის გმობით, ასევე ჰიტლერთან შეხვედრაზე უარის თქმით. იგი ერთგული დარჩა თავისი საეპისკოპოსო დევიზისა „Pax Christi in regno Christi“.

**პიუს XII (1939-1958)** - პიუს XII-მ საკუთარ თავზე აიღო უზარმაზარი მემკვიდრეობა - ეკლესიის წინამძღოლობა XX საუკუნის ყველაზე ტრაგიკულ პერიოდში, მეორე მსოფლიო ომის დროს, მთელი

მისი საშინელი შედეგებით. მისი პონტიფიკატი ხასიათდებოდა მშვიდობისადმი მტკიცე ერთგულებით, გამოხატული რადიომიმართვებში, ისეთში, როგორიცაა 1939 წელს წარმოთქმული ცნობილი ფრაზა: „მშვიდობით არაფერი იკარგება, ომით ყველაფერი შეიძლება დაიკარგოს"; ან 1942 წლის საშობაო რადიოშეტყობინება, რის შემდეგაც ის გახდა პირველი პაპი, რომელმაც სისტემატურად ჩამოაყალიბა „საერთაშორისო წესრიგის აუცილებელი წინაპირობები". ომისადმი წინააღმდეგობის მიუხედავად, მისი პოზიცია მეორე მსოფლიო ომის დროს საკამათო იყო, ზოგჯერ მას „მშვიდობისმყოფელს" უწოდებდნენ, ზოგჯერ კი „ომის პაპს", ნაწილობრივ მისი მიუკერძოებლობისა და გარკვეული სისასტიკის შესახებ დუმილის გამო, რისთვისაც მას აკრიტიკებდნენ. გენოციდის წინაშე დუმილისა და ტოტალიტარული რეჟიმების სავარაუდო მხარდაჭერის ბრალდებებზე პასუხის გასაცემად, მხოლოდ ეს ფაქტიც იქნებოდა საკმარისი: ომის დროს, პიუს XII-ის მეთაურობით, ეკლესიამ დაახლოებით რვაასი ათასი ებრაელის სიცოცხლე გადაარჩინა.

**იოანე XXIII (1958-1963)** - იოანე XXIII განუყოფლადაა დაკავშირებული მშვიდობასთან, განსაკუთრებით, ვატიკანის მეორე კრების მოწვევისა და 1963 წელს გამოცემული ენციკლიკის „Pacem in Terris" გამო, რომელიც მის სულიერ ანდერძად მიიჩნევა. ენციკლიკაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ მშვიდობა არ არის მხოლოდ ომის არარსებობა, არამედ დაფუძნებულია ჭეშმარიტებაზე, სამართლიანობაზე, თავისუფლებასა და სოლიდარობაზე. ის ხელს უწყობს დიალოგსა და განიარაღებას, როგორც კონფლიქტების მოგვარების ერთადერთ გზას, რაც საფუძველს უყრის სამოქალაქო ეთიკას, რომელიც ეძებს მშვიდობას, ის არც რელიგიურია და არც ანტირელიგიური, არამედ „სეკულარული", რომელიც დაფუძნებულია ეთიკურ რაციონალობაზე და იზიარებს უმრავლესობა, ვინც კი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის მომხრეა. ამ დოკუმენტს უდიდესი გავლენა ჰქონდა შემდგომში პაპის სწავლებებზე, მათ შორის, პაპ ფრანცისკეს სწავლებებზე. 1962 წელს, კუბაში საბჭოთა რაკეტების გადაზიდვით გამოწვეული კრიზისის დროს, პაპმა მოუწოდა მშვიდობისაკენ არა მხოლოდ ვატიკანის რადიოს მეშვეობით, არამედ პირდაპირ მიმართა რუსეთის ლიდერ ხრუშჩოვს, „გამბედაობა გამოეჩინა და სარაკეტო გემები უკან დაეხია", რითაც თავის მოთხოვნას შემდეგნაირად ამართლებდა: „შეიძლება ამტკიცოთ, რომ რელიგიური არ ხართ, მაგრამ რელიგია არის არა მცნებათა ერთობლიობა, არამედ მოვალეობა, იმოქმედოთ მთელი კაცობრიობისადმი სიყვარულით, რომელიც,

როდესაც ნამდვილია, ღვთის სიყვარულთანაა შერწყმული, ასე რომ, მაშინაც კი, თუ მის სახელს არ წარმოთქვამთ, რელიგიური ხართ."

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ
გაგრძელება შემდეგ ნომერში

# პირველი ზიარება - სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი დასაწყისი

ელიზა გოზალიშვილი

პირველი ზიარება ქრისტიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ამაღელვებელი მოვლენაა. ეს არის წმინდა ეტაპი, როდესაც ადამიანი, ბავშვი ან მოზარდი, პირველად მონაწილეობს ქრისტეს წმიდა საიდუმლოში და შეგნებულად ერთვება ეკლესიის სულიერ ცხოვრებაში. პირველი ზიარება არა მხოლოდ რელიგიური რიტუალია, არამედ ღრმა სულიერი გამოცდილება, რომელიც ადამიანის შინაგან სამყაროს ამდიდრებს და რწმენას ამყარებს. ზიარება, ქრისტიანული სწავლების მიხედვით, ნიშნავს ქრისტესთან ერთობას. წმიდა წერილში იესო ქრისტე ამბობს: *„ჩემი ხორცის მჭამელს და ჩემი სისხლის შემსმელს საუკუნო სიცოცხლე აქვს. და მე მას აღვადგენ უკანასკნელ დღეს“* (იოანე 6, 54). ეს სიტყვები ნათლად გამოხატავს ზიარების სულიერ მნიშვნელობას და იმ მადლს, რომელსაც მორწმუნე იღებს ქრისტესთან ერთობით. ზიარება არის რწმენის გაძლიერება, სულიერი განახლება და ღმერთთან სიახლოვის განცდა. პირველი ზიარებისათვის მზადება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ეს პროცესი მოიცავს ლოცვას, ეკლესიური სწავლების გაცნობას, სინანულსა და საკუთარი საქციელის გააზრებას. ამ გზაზე მორწმუნე ადამიანს სჭირდება ოჯახისა და სასულიერო პირების მხარდაჭერა. ისინი ეხმარებიან მას ქრისტიანული ღირებულებების, სიყვარულის, პატიების, თავმდაბლობისა და სიკეთის გაცნობიერებაში. სწორედ ამ ღირებულებებს ეფუძნება ქრისტიანული ცხოვრება. ზიარების დღე ეკლესიაში განსაკუთრებული სიწმინდითა და სიმშვიდით გამოირჩევა. თანამედროვე სამყაროში, სადაც ხშირად მატერიალური ფასეულობები სულიერს ჩრდილავს, პირველი ზიარება გვახსენებს ნამდვილ სიმდიდრეს - სულიერ სიმშვიდეს, რწმენასა და ღმერთთან სიახლოვეს. ეს წმინდა დღე ადამიანის ცხოვრებაში რჩება როგორც სინათლის, იმედისა და სულიერი ძალის წყარო. პირველი ზიარება წარმოადგენს არა მხოლოდ ეკლესიურ ტრადიციას, არამედ ადამიანის სულიერი ცხოვრების მყარ საფუძველს. ეს არის გზა, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში მიუთითებს სიკეთის, სიყვარულისა და რწმენისაკენ.

# დოროთი დეი: „ახლა უკვე ვიცი, რომ კათოლიკე ეკლესია ღარიბთა ეკლესიაა“.

სწორედ პაპმა ფრანცისკემ გამოარჩია დოროთი დეი, რომელსაც „დიდი ამერიკელი“ უწოდა 2015 წელს ვაშინგტონში გამართულ კონგრესზე წარმოთქმულ თავის ცნობილ სიტყვაში და მას სამი „დიდი“ ამერიკელის (აბრაამ ლინკოლნი, მარტინ ლუთერ კინგი და თომას მერტონი) გვერდით მიუჩინა ადგილი. პაპმა ბენედიქტე XVI-მ გაიხსენა მისი „უნარი, წინააღმდეგობა გაეწია თავისი დროის იდეოლოგიური ცდუნებებისათვის და არჩევანი ჭეშმარიტების ძიებასა და რწმენის აღმოჩენაზე გაეკეთებინა“ (13.02.2013). „პატარა, მაგრამ დიდი ამერიკელი ქალბატონი, ანთებული შინაგანი ცეცხლით“, - ასე მოიხსენია იგი ლეონ XIV-მ გასული წლის 22 ნოემბრის აუდიენციის დროს, როდესაც ის იმედის მაგალითად წარუდგინა საზოგადოებას მისივე „პოზიციის გამო“, რომელმაც მთელი ცხოვრება „წერასა და მსახურებას“ მიუძღვნა, იმ ძალისხმევით, რამაც „გააერთიანა მისი გონება, გული და ხელები“.

დოროთი დეი (Dorothy Day, 1897-1980) მრავალმხრივ მოღვაწე ქალი გახლდათ: ანარქისტი და კათოლიკე, პაციფისტი და გარემოსდამცველი, ჟურნალისტი და ღარიბთა უფლებებისათვის მებრძოლი აქტივისტი; XX ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში მან მუშათა დასაცავად შეერთებულ შტატებში დააარსა პირველი კათოლიკური პროფკავშირი და კულტურული მოძრაობა Catholic Worker - „კათოლიკე მუშა“; იგი იყო მშვიდობის მომხრე და ხელახალი შეიარაღების წინააღმდეგი. 1980 წელს, დოროთი დეის გარდაცვალების შემდეგ, დაიწყო მისი ნეტარად შერაცხვის პროცესი: ვინ იცის, რას იფიქრებდა ამაზე... ახალგაზრდობაში მან ჩაიდინა ყველა ის ცოდვა, რომელიც კი მძიმედ მიიჩნევა: აბორტი, თვითმკვლელობის მცდელობა, ხოლო მარცხი ქორწინებაში, „კანონიერი“ ოჯახის შექმნის შეუძლებლობა თავისი ქალიშვილის მამასთან, ანარქისტთან (ქორწინებისა და პირადი ცხოვრების ნებისმიერი ფორმის ინსტიტუციონალიზაციის წინააღმდეგი) ყოველთვის ღრმა ტკივილად რჩებოდა მის გულში. ამ ქმედებათა გამო სინანული, რომელსაც ჯერ კიდევ რწმენად მოქცევამდე განიცდიდა, დღენიადაგ სტანჯავდა; მის მიერ შემდგომში ჩადენილი გულმოწყალების არცერთი საქმე არ ათავისუფლებდა მას ამ ტვირთისაგან. განსაკუთრებით აბორტმა გაანადგურა იგი მორალურად. ამიტომ, როდესაც იგი კვლავ დაორსულდა, მოეჩვენა, რომ მეორე შესაძლებლობა ეძლეოდა ზეციდან, ღვთის მიერ შენდობის ნიშნად. ყოველ შემთხვევაში, მან ეს ასე აღიქვა.

„მე ღმერთი ღარიბების მეშვეობით მოვძებნე“ - ასე ეწოდება მის ავტობიოგრაფიულ წიგნს, რომელშიც, სხვათა შორის, იხსენებს, თუ როგორ სცადა ორმოცი წლის ასაკში, თავისი უმცროსი ძმის, ჯონისთვის, აეხსნა, როგორ გახდა კათოლიკე; ამ ამბავმა ყველა მისი მეგობარი სახტად დატოვა, მამამ კი ზიზღით განუცხადა, რომ კათოლიკეები მხოლოდ ირლანდიელი მრეცხავები და პოლიციელები არიანო. მთელი მისი ცხოვრება სიღარიბისა და ღარიბთა მიმართ უსაზღვრო სიყვარულით ხასიათდებოდა და თუმცა ახალგაზრდობაში ეს მას სოციალიზმის, კომუნიზმის, ანარქიზმისა და პროფკავშირებისაკენ იზიდავდა, ღვთაებრივისადმი მისმა არანაკლებ ძლიერმა სწრაფვამ იგი კათოლიკურ ეკლესიაში მიიყვანა. აქ მან - როგორც თავად ყვება - საბოლოოდ ჰპოვა არა სიმშვიდე, რაც მისთვის არ იყო დამახასიათებელი, არამედ საკრებულო, რომელმაც საშუალება

მისცა, ერთდროულად ეცხოვრა გარიყულთადმი სიყვარულით და ღვთისადმი ერთგულებით. იგი დაბეჯითებით აცხადებდა: „ახლა მე ვიცი, რომ კათოლიკე ეკლესია ღარიბთა ეკლესიაა, რაც არ უნდა ილაპარაკონ მღვდლებისა და ეპისკოპოსების სიმდიდრეზე“. და ამას ამბობდა, მიუხედავად იმისა რომ რადიკალურმა პოზიციამ არაერთხელ მიიყვანა იგი კონფლიქტამდე სასულიერო ხელისუფლებასთან, უპირველესად კი, სამოქალაქო ხელისუფლებასთან (ის შვიდჯერ იყო დაპატიმრებული მეტ-ნაკლებად მოკლე ვადით, ბოლოს კი 75 წლის ასაკში).

იგნაციო სილონე, რომელიც მას პირადად იცნობდა, იხსენებს, რომ ანარქისტული სოციალიზმიდან ის კათოლიციზმში გადავიდა, რათა კიდევ უფრო შეუპოვრად გაეგრძელებინა ბრძოლა სამართლიანობისათვის. ნიუ-იორკში მდებარე მის სახლში კარები არ იკეტებოდა, ყველა მშიერ-მწყურვალს შეეძლო იქ შესვლა. კათოლიკე ეკლესიასთან კავშირი მისთვის ღრმა და ძლიერი სიხარულის წყაროდ იქცა. „ჩემი მგმობელნი, - წერს იგი, - ვერ იტყვიან, რომ მარტოობისა და ტკივილის შიშმა მაიძულა მისთვის მიმემართა. სწორედ იმ რამდენიმე წელიწადში, როდესაც ვიყავი მარტო და უზომოდ გახარებული, ვიპოვე ის. საბოლოოდ ვიპოვე იგი სიხარულისა და მადლიერების გზით და არა ტკივილით“. ასე გვასწავლის დოროთი დეი ეკლესიისადმი სიყვარულს: „ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულმა თავდასხმებმა დამანახა მისი ღვთაებრიობა. მხოლოდ საღმრთო ინსტიტუტს შეეძლო გადაეტანა იუდას ღალატი, პეტრეს უარყოფა, მრავალ ადამიანთა ცოდვა, ვინც აღიარებდა მის რწმენას და ვისაც უნდა ეზრუნა მის ღარიბებზე... ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ადამიანური სიმყიფე, მათი ცოდვები და უმეცრება, რომელთაც მაღალი თანამდებობა ეკავათ ისტორიის განმავლობაში, მხოლოდ იმას ამოწმებს, რომ ეკლესია უნდა იყოს ღვთაებრივი, რათა იარსებოს საუკუნეთა განმავლობაში. მე არ განვიკითხავდი ეკლესიას იმის გამო, რასაც, ჩემი აზრით, სასულიერო პირთა შეცდომებად მივიჩნევდი“.

რა სასიამოვნოა ამგვარ სიტყვათა წაკითხვა მეოცე საუკუნის რწმენის, სიყვარულისა და იმედის დიდი მოწმისაგან, საუკუნისა, როდესაც (და დღესაც ასეა) ეკლესია კრიტიკის, ზიზღისა და მიტოვების ობიექტი იყო! დიახ, რადგან ეკლესია ღვთაებრივი და ადამიანური რეალობაა, რომელიც ღმერთთან მიგვიყვანს და რომლის მეშვეობითაც ღმერთს შეუძლია ჩვენამდე მოვიდეს, წმიდათა და ცოდვილთა საკრებულომდე, რაც ყოვლად აუცილებელია, რათა სრულყოფილი ქრისტიანები ვიყოთ.

მოამზადა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

ქრისტიანთა შემწე უწმიდესი ქალწული მარიამის ეკლესია ნიუ-იორკში, სადაც მოინათლა დოროთი დეი



# ღმერთის სახელი - ნაწილი პირველი

მამა პიერ დიუმულენი

დაბადების წიგნის თანახმად (დაბ. 4, 26), სახელი YHWH (ტეტრაგრამატონი: 4 ასო; იაჰვე) უკავშირდება კაცობრიობის არსებობის საწყის ეტაპს, დასაბამს. წარმოშობის შესახებ ბიბლიურ ტექსტებში ღმერთს სწორედ ამ სახელით მოიხსენიებენ (დაბ. 2, 3). აღნიშნული ტექსტების მომდევნო თხრობაში გამოსვლის წიგნიდან (გამ. 3) ნათქვამია, რომ ისრაელიანების მამათა ღმერთი, რომელსაც ისინი მიმართავდნენ, გამოეცხადა მოსეს დაუწველ მაყვლოვანში. კიდევ ერთი ტექსტი ადასტურებს, რომ სახელი YHWH ცნობილი იყო გამოსვლამდე: ღმერთი აცხადებს ღმრთაებრივ სახელს: *„...წარმოვთქვამ უფლის* (YHWH-ს) *სახელს შენს წინაშე... და გაიარა უფალმა მის წინაშე და წარმოთქვა: ,,უფალი, უფალი* (YHWH, YHWH), *ღმერთი შემბრალე და მოწყალე, სულგრძელი და დიდად მოწყალე, და ჭეშმარიტი...“* (გამ. 33,18-34, 7). იმავე წიგნის მე-6 თავში (გამ. 6, 2-3) მითითებულია, რომ სახელი „YHWH“ მხოლოდ მოსეს გამოეცხადა, მაგრამ აქ იგულისხმება სახელის მნიშვნელობა და არა გამოთქმა.

**ა. „სახელის“ მნიშვნელობა ებრაულ ენაში (ივრითი)**

ებრაელებისთვის „სახელი“ არის არსობის არსი, სიღრმისეული რეალობა. „სახელი“ არ არის უბრალოდ „იარლიყი“, ან რაღაცის აღმნიშვნელი. სწორედ ამიტომ სამყაროს შექმნისას ღმერთი ყველაფერს სახელს არქმევს (დაბ. 1). სახელის დარქმევა ნიშნავს გარკვეულ ძალაუფლებას, არსებულის ბუნების შეცნობას. ანალოგიურად, ადამი არქმევს სახელებს ცხოველებს (დაბ. 2,19-20), მაგრამ ქალს თავის სახელს ანიჭებს, ოღონდ მდედრობით ფორმაში (დაბ. 2, 23). ღმერთი ახალ სახელს არქმევს მამაკაცებს, რომლებსაც ის ირჩევს: აბრამი-აბრაამი (დაბ. 17, 5), იაკობი-ისრაელი (დაბ. 32, 29) და ა.შ. თუმცა არავის ძალუძს შეიმეცნოს ღმრთის სახელი (დაბ. 32, 30; მსაჯ. 13, 17-18). ტექსტები, რომლებშიც საუბარია ღმრთის „სახელზე“, აკურთხებენ, ადიდებენ მას, თავად ღმერთს ეხება და არა „სიტყვას“. უფლის სახელი (YHWH) არ ნიშნავს ღმერთის არსის განსაზღვრას, არამედ გამოხატავს მის მო-

ქმედებას და მყოფობას. ქრისტეშობამდე ბოლო საუკუნეებში რაბინულ ტექსტებში ტეტრაგრამატონი ჩანაცვლებულია სიტყვით „ჰაშემ“ - „სახელი“: „სახელმა თქვა, სახელმა გააკეთა...“. ახალ აღთქმაში სახელებს ასევე მნიშნელოვანი ადგილი უჭირავთ (იესო - ემანუელი, იოანე - ნათლისმცემელი, სიმონი - პეტრე). მოციქულთა საქმეების წიგნში „იესოს სახელით“ მოქმედება არ ნიშნავს მაგიური სიტყვის მოხმობას, არამედ „უფლის“ აღიარებას, რომელსაც ღმერთმა მიანიჭა *„ყველა სახელზე უზენაესი სახელი“* (ფილიპ. 2, 9), სახელი, რომელსაც ხსნა მოაქვს: *„სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა, არც არის ცის ქვეშ ხალხისათვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით“* (საქმე. 4, 12).

**ბ. ეტიმოლოგიის მნიშვნელობა ებრაელთათვის**

ებრაულ სამყაროში ეტიმოლოგია არის ერთგვარი თეოლოგიური „თამაში“, რომელიც საშუალებას იძლევა სახელი დაუკავშირდეს მნიშვნელობას, მაშინაც კი, თუ კავშირი არ არის ლინგვისტური (ასახსნელი სახელი ხშირად არ არის ებრაული ან თუნდაც სემიტური წარმოშობის). მაგალითად, სახელი მოსე, რომელიც ბიბლიაში ითარგმნება, როგორც „წყლიდან გადარჩენილი“, სინამდვილეში ეგვიპტური სახელია, რაც ნიშნავს „ბავშვი, რომელიც დაიბადა“. სხვა სახელებიც გვხვდება, მაგალითად რამზესი - „რასგან შობილი“, ან თუტმოსი - „თოტისგან შობილი“. ანალოგიურად, სახელს „ისრაელი“ შეიძლება ჰქონდეს სხვა მნიშვნელობაც, გარდა „ძლიერია ღმერთის წინაშე“. ამგვარი განმარტებების გამოყენება დამახასიათებელია ბიბლიური ტექსტებისთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ადამიანის ან ტომის სახელს, ადგილის სახელწოდებას გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება, მაგალითად, აბრაამი - „ხალხთა მამა“, ისააკი - „სიცილის შვილი“.

**გ. დაუწველი მაყვლოვანი - ღმერთის სახელი (გამ. 3, 13-15)**

ტექსტის სტრუქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ აქაც გამოყენებულია სიტყვათა გარკვეული „თამაში“, რასაც აქვს თავისი შინაარსობრივი დატვირთვა. მოსე ეკითხება ღმერთს: *„აჰა, მე მივალ ისრაელის ძეებთან, და ვეტყვი მათ: თქვენი მამების ღმერთმა მომავლინა-მეთქი თქვენთან. და მეტყვიან: ‘რა არის მისი სახელი?’ რა ვუთხრა მათ?“* ღმერთი პასუხობს: ***„მე ვარ, რომელიც ვარ.“*** *და თქვა „ასე უთხარი ისრაელის ძეთ* - ***მე ვარმა*** *მომავლინა-თქო თქვენთან.“* ამ ტექსტიდან მომდინარეობს, რომ ღმერთის სახელია „მე ვარ“ (ჰეიჰ და არა იაჰვე). შემდეგ კი, სავარაუდოდ, ერთ-ერთი რედაქტორის მიერ დამატებულია: *„კვლავ უთხრა ღმერთმა მოსეს* - სიტყვა „კვლავ“ მიუთითებს დამატებაზე - *‘ასე უთხარი ისრაელის ძეთ: უფალმა, თქვენი მამების ღმერთმა, აბრაამის ღმერთმა, ისაკის ღმერთმა და იაკობის ღმერთმა მომავლინა თქვენთან“.* აქ ხაზგასმულია, რომ ღმერთი, რომელიც მოსეს ეცხადება, იგივეა, ვინც ხუთი საუკუნით ადრე ელაპარაკა პატრიარქებს (გამ. 3, 6) და რომელიც უკვე ატარებდა სახელს „იაჰვე“ (YHWH). ამგვარად, გამოსვლის წიგნის მე-3 თავის ავტორი აკავშირებს ეგვიპტის მონობისგან განთავისუფლების ისტორიას პატრიარქების ისტორიასთან უძველესი სახელის მნიშვნელობის ახსნით.

# პიტერ ტო როტი




წმიდა პიტერ ტო როტი (Peter To Rot) დაიბადა 1912 წლის 5 მარტს, სოფელ რაკუნაიში, რაბაულის (ქალაქი და ნავსადგური პაპუა-ახალ გვინეაში, წყნარი ოკეანის კუნძულზე) ახლოს. ის სოფლის თავკაცის, ანჯელო ტუ პუიასა და მისი მეუღლის, მარია ია ტუმულის ექვსი შვილიდან მესამე იყო. 1898 წელს მისმა მშობლებმა კათოლიკობა მიიღეს. მათ მისიონერებთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, ეხმარებოდნენ რითაც შეეძლოთ, ეკლესიის, სკოლისა და მისიონერული სახლისათვის მიწაც კი შეწირეს. ეს კეთილი და თავდადებული ოჯახი ყოველთვის მზად იყო დახმარების ხელი გაეწვდინა ნებისმიერი გაჭირვებულისათვის.

ტო როტს მამამ კატეხიზმოს საფუძვლები ასწავლა და 1919 წელს ადგილობრივ მისიონერულ სასწავლებელში მიაბარა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს განათლება სავალდებულო არ იყო. რაკუნაის სამრევლო მღვდელს, მამა ლაუფერს, რომელიც იესოს უწმიდესი გულის ორდენის წევრი იყო, სურდა, ტო როტს სასულიერო განათლება მიეღო, მაგრამ როტის მამამ უარი განაცხადა, რადგან უნდოდა შვილი კატეხისტი გამხდარიყო. 1930 წელს პიტერი შევიდა ტალილიგაპში მდებარე წმიდა პავლეს კოლეჯში, რომელსაც იესოს უწმიდესი გულის მისიონერები უძღვებოდნენ. სამი წლის შემდეგ იგი რაკუნაიში დაბრუნდა და 21 წლის ასაკში ყველაზე ახალგაზრდა კატეხისტი გახდა. მისი მთავარი სამუშაო სამრევლო სკოლაში სწავლება იყო, თუმცა, ასევე, მოინახულებდა ავადმყოფებსა და ღარიბებს და მათთან ერთად ლოცულობდა. ხალხს უყვარდა ტო როტი მისი სიკეთის გამო. ის იცავდა ეკლესიას და მის სწავლებას, ცდილობდა ახალმოქცეულთა უკეთ განათლებას, აკეთებდა ყველაფერს, რაც შეეძლო, რათა მისიონერთა მიერ დაწყებული სულიერი საქმიანობა გაეგრძელებინა: ლოცულობდა მრევლთან ერთად, ეხმარებოდა მღვდელს ქორწინებისა და ნათლობის საიდუმლოთა აღსრულებისას და, შესაძლებლობის შემთხვევაში, აზიარებდა ავადმყოფებს.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წლის მარტში, როდესაც იაპონური იმპერიის ჯარებმა პაპუა-ახალი გვინეა დაიკავეს და ავსტრალიური გარნიზონი განდევნეს, ყველა უცხოელი მისიონერი გაგზავნეს სამხედრო ტყვეთა ბანაკში. მამა ლაუფერმა თავისი სამრევლო ტო როტს გადააბარა და სთხოვა, ეზრუნა ხალხზე, რათა მათ ჭეშმარიტი ღმერთი არ დავიწყებოდათ. 1943 წლის ბოლოსათვის იაპონიის ხელისუფლებამ რელიგიურ მსახურებაზე შეზღუდვები დააწესა, რამდენიმე თვის შემდეგ კი საერთოდ აკრძალა. ტო როტი მსახურებას ფარულად განაგრძობდა, დევნის შიშის გარეშე. ეკლესიის შენობის დანგრევის შემდეგ, მან სოფლის გარეთ, გამოქვაბულში მოაწყო ეკლესია; იქვე ინახავდა ნათლობათა და ქორწინებათა შესახებ ჩანაწერებს. ტო როტს იაპონელებთან უთანხმოება მას შემდეგ მოუვიდა, როდესაც ხელი შეუშალა პროტესტანტის ცოლის გატაცებას. ქალი მოსწონდა ადგილობრივ პოლიციელს, რომელიც იაპონელებს ემსახურებოდა და მისი მეორე ცოლად შერთვა სურდა. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის ხელისუფლებამ მეორე ცოლის მოყვანა დააკანონა, ტო როტი ღიად აკრიტიკებდა იაპონელთა შეხედულებებს პოლიგამიის შესახებ, რადგან ეს ქრისტიანულ სწავლებას ეწინააღმდეგებოდა. ის დაჟინებით მოითხოვდა, რომ სოფლის მაცხოვრებლებს დაეცვათ ეკლესიის სწავლება ქორწინების შესახებ, ზრუნავდა ქალებზე, რომლებიც მეორე ცოლებად გახდომის მიზნით იყვნენ გატაცებული.

იაპონელებმა ტო როტს ქადაგება აუკრძალეს და მასზე მეთვალყურეობა დააწესეს. 1944 წლის შობადღეს როტი დააბეზღეს ადგილობრივმა ახალგაზრდებმა, რომლებიც ჯაშუშებად ემსახურებოდნენ იაპონელებს. მათ გაჩხრიკეს გამოქვაბ-

ული, სადაც ის ლოცვებს აღავლენდა, აგრეთვე მისი სახლი, და აღმოაჩინეს რელიგიური ნივთები: ბიბლია, კატეხიზმო, გალობათა კრებული, ჩანაწერთა წიგნები და ორი ჯვარცმა. ტო როტი მაშინვე დააპატიმრეს. დაკითხვის დროს როტმა უშიშრად განუცხადა პოლიციის უფროსს, რომ ქადაგება არ შეუწყვეტია, რის შემდეგაც მას სცემეს და საკანში მოათავსეს. ტო როტის სანახავად ხშირად მოდიოდნენ მეგობრები, დედა და ცოლი, რომელმაც სცადა დაერწმუნებინა იგი, კატეხისტობაზე უარი ეთქვა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მსოფლიოს მრავალ კუთხეში კატეხისტები იმდენად ერთგულნი იყვნენ თავიანთი საქმისადმი, რომ როდესაც მღვდლებსა და მისიონერებს აძევებდნენ, აპატიმრებდნენ ან კლავდნენ, ისინი აგრძელებდნენ ევანგელისტურ მისიას თავიანთი სიცოცხლის რისკის ფასად. სწორედ ასე მოიქცა პიტერ ტო როტი. მოგვიანებით მის სანახავად მოსულ დედას მან გაუმხილა, რომ სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა, მაგრამ მზად იყო მომკვდარიყო იესო ქრისტესთვის.

1945 წლის 7 ივლისს პოლიციამ ტო როტს აცნობა, რომ საღამოს იაპონელი ექიმი მოვიდოდა მისთვის წამლის მისაცემად. იგი ეჭვობდა, რომ ეს ხრიკი იყო, რადგან ჯანმრთელობას არ უჩიოდა. მან ცოლს სთხოვა, ჯვარი და ლამაზი ტანსაცმელი მოეტანა მისთვის. ექიმმა როტს სასიკვდილო ინექცია გაუკეთა. როდესაც მცველებმა დაინახეს, რომ შხამი ნელ-ნელა მოქმედებდა, იგი აიძულეს დაწოლილიყო, ექიმმა კი მას პირი აუკრა. ტო როტს კრუნჩხვები დაეწყო; მცველებმა ის გააკავეს და ჯოხებით სცემდნენ ზურგსა და თავზე, სანამ არ მოკვდა. შემდეგ პოლიციელი რაკუნაიში მივიდა და განაცხადა, რომ ტო როტი „ავადმყოფობისაგან“ გარდაიცვალა. როდესაც პიტერის ბიძა ძმისშვილის ცხედრის წამოსაღებად მივიდა, მან ცემისა და გაგუდვის აშკარა კვალი აღმოაჩინა, ხელზეც ნანემსარის მკაფიო კვალი აჩნდა. ტო როტი დიდი პატივით დაკრძალეს კათოლიკურ სასაფლაოზე, იმ ეკლესიასთან ახლოს, სადაც ის მსახურებდა. გამოსამშვიდობებელი ცერემონია ჩუმად ჩატარდა, რადგან ხალხს იაპონელების ეშინოდა. იმ დღიდან ტო როტს რწმენისათვის წამებულად მიიჩნევდნენ.



1986 წელს პიტერ ტო როტს მიენიჭა ტიტული ,,მონა ღვთისა“. 1993 წლის 2 აპრილს პაპმა იოანე პავლე II-მ იგი ღირსეულად გამოაცხადა, რითაც დაადასტურა, რომ ტო როტი მოკლეს in odium fidei („რწმენის სიძულვილით“), ორი წლის შემდეგ კი, პაპუა-ახალ გვინეაში ვიზიტის დროს, იგი ნეტარად შერაცხა. მას შემდეგ მისი სიწმინდე და სასწაულები აღიარებულ იქნა მთელ ქვეყანაში, მათ შორის, ახლომდებარე სოლომონის კუნძულებსა და ავსტრალიაშიც კი. 2025 წლის 19 ოქტომბერს ახლად არჩეულმა პაპმა ლეონ XIV-მ პიტერ ტო როტი წმიდანად გამოაცხადა. მისი მოხსენიების დღეა 7 ივლისი.

2012 წლის 5 მარტს, პაპუა-ახალი გვინეის მთავრობამ გამოუშვა საფოსტო მარკების სერია პიტერ ტო როტის დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავად.

მოამზადა ვერიკო ნოზაძემ

# კიდევ ერთი საჩუქარი თბილისელებს „საქართველოს კარიტასისაგან“

წარმატებით დასრულდა საქართველოს კარიტასის კიდევ ერთი ახალი პროექტი: ,,საქართველოს კარიტასის“ სათავო ოფისში ამოქმედდა **ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების ცენტრი**, რაც ნამდვილად კარგი საჩუქარია თბილისელთათვის. ადრეული განვითარების ბავშვთა ცენტრებით საქართველო განებივრებული არ არის, თუმცა ევროპის ქალაქებში მსგავსი დაწესებულებები ათწლეულებია ფუნქციონირებენ და დიდ დახმარებას უწევენ იმ მცირეწლოვან ბავშვებს, რომელთაც, სხვადასხვა მიზეზის გამო, სრულყოფილ ასაკობრივ განვითარებაში ჩამორჩენა აღენიშნებათ. საქართველოს კარიტასმა, ჩეხეთის კარიტასის მხარდაჭერით, 2025 წლის ოქტომბერს, ადრეული ასაკის ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდასაჭერად, ,,კარიტასის ადრეული განვითარების ცენტრი“ დააარსა. ცენტრის მთავარი მიზანია, სპეციალისტთა დახმარებით, ხელი შეუწყოს მშობლებს მათი ბავშვების განვითარების ადრეულ ეტაპზე მათში ფიზიკური განვითარების ჩამორჩენის აღმოფხვრას. ადრეული დახმარების აღმოჩენა, მაშინ როდესაც ბავშვი ამას ყველაზე მეტად საჭიროებს, ყოველთვის სასურველ შედეგს იძლევა, და ,,საქართველო კარიტასის“ ამ ახალი პროექტის ორგანიზატორ სპეციალისტთა გუნდიც მოწოდებულია, რომ ინფორმაციითა და სამკურნალო-გამაჯანსაღებელ პროცედურათა გაწევით, ხელი შეუწყოს დაბადებიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებში აუცილებელი ფიზიკური უნარებისა და ასაკობრივი მოტორიკის განვითარებას. გერმანული საქველმოქმედო ორგანიზაცია **რენოვაბისის, ჩეხეთის კარიტასისა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს** მხარდაჭერით, ,,საქართველოს კარიტასში“ მოეწყო ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრის სივრცე. საქართველოს სახელმწიფო დაფინანსებისა და, ასევე, უცხოელ სპონსორთა დახმარებით, ცენტრი სრულად აღიჭურვა ყველა იმ ინვენტარითა და მასალებით, რომლებიც ბავშვებს ყოველდღიურ რუტინაში სრულყოფილად ჩართვისა და მონაწილეობის საშუალებას მისცემს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ,,საქართველოს კარიტასის“ სპეციალისტები პაციენტებს დახმარებას აღმოუჩენენ ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვი და მისი ოჯახი ამას საჭიროებს, ეს იქნება სახლი, ბაღი, სასეირნო სივრცე თუ თავად კარიტასის ცენტრის დარბაზები.

ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრის საზეიმო გახსნის ღონისძიებაზე შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა ,,საქართველოს კარიტასის“ პრეზიდენტი, ქორეპისკოპოსი, საქართველოში ასირიულ-ქალდეური კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი, მამა ბენი ბეტიადგარი, ,,საქართველოს კარიტასის“ დირექტორი ანაჰით მხოიანი, განათლების გაძლიერების მენეჯერი გიორგი დემეტრაშვილი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ანა ურმიშვილი, საქართველოში გერმანიის ელჩის მოადგილე ესთერ ვაგნერი, ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი კატერინა სილჰანოვკა. ცენტრის მომზადება და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვა 200 ათასი ლარი დაჯდა, აქედან 75% საქართველოს სახელმწიფომ გაიღო, 25% უცხოელმა დონორებმა დააფინანსეს. ბავშვთა ცენტრში პაციენტების შერჩევა შესაბამისი პოლიკლინიკების რეკომენდაციების საფუძველზე მოხდება და გეგმიურ რვა სეანსს ისინი უსასყიდლოდ გაივლიან. ჯერჯერობით ბავშვთა ცენტრები მხოლოდ თბილისში მოქმედებს, თუმცა ჯანმრთელობის სამინისტრო გეგმავს მსგავსი ცენტრების რეგიონებში ამოქმედებასაც და, სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, მათ დიდი იმედი აქვთ, რომ ამ წამოწყებაში ,,საქართველოს კარიტასი“, როგორც ყოველთვის, სამინისტროს მხარში დაუდგება.

ნუგზარ ბარდაველიძე

# ანიმაციური ფილმი - „დაკარგული კრისტალის საიდუმლო“

2025 წლის 11 დეკემბერს შედგა პრემიერა ახალი ქართული ანიმაციური ფილმისა „დაკარგული კრისტალის საიდუმლო“, რომელიც საახალწლო პერიოდში ყოველდღიურად გადიოდა კავეას ყველა კინოთეატრში. ფილმი 6-12 წლის ასაკის ბავშვებისთვის არის შექმნილი და აერთიანებს დინამიკურ თავგადასავლებს, გამომძიებლურ ისტორიებსა და შემეცნებით ელემენტებს. მწარმოებელი კომპანიაა ანიმაციური სტუდია ,,ვივი მოუშენი“. მთავარი პარტნიორი გახლდათ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“. ანიმაციური ფილმი სავსეა თავგადასავლებით, ტექნოლოგიური ხერხებით, გუნდურობითა და ისეთი თემებით, რომლებიც ბავშვებს მეგობრობის, პასუხისმგებლობის და თავდაცვით უნარებს განუვითარებს. პროექტის მთავარი მიზანია განათლებისა და გართობის ერთ სივრცეში გაერთიანება.

ანიმაციური ფილმის შექმნაზე მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობას, თემას, რომელიც ბავშვთა უფლებებისა და დაცვის სფეროში ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება. სწორედ ამიტომ განხორციელდა პროექტი საქართველოს კარიტასთან პარტნიორობით. კარიტასის ინიციატივით, პრაქტიკულად, ანიმაციაში გაერთიანდა პროგრამა „თავდაცვითი ქცევა“, რომელიც ბავშვებს, ასაკის შესაბამისად, ასწავლის, როგორ განასხვავონ უსაფრთხო და საფრთხის შემცველი სიტუაციები, როგორ იფიქრონ მოსალოდნელ საშიშროებაზე, მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარება მოითხოვონ. პროგრამა ემყარება თამაშს, აქტიურ მონაწილეობასა და მარტივი, გასაგები მაგალითებით სწავლას; სწორედ ამიტომაა მისი გადატანა ანიმაციურ სამყაროში ყველაზე ბუნებრივი ფორმა.

მარიამ ლობჟანიძე

# თეოლოგიური ჰერმენევტიკა

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი ფართო საგამომცემლო საქმიანობით არის დაკავებული და ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებით დაინტერესებულ მკითხველს ყოველწლიურად ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატურით ახარებს. გასულ წელს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობამ კიდევ ერთი საჩუქარი გაუკეთა თანამედროვე ქრისტიანული თეოლოგიით დაინტერესებულ მკითხველს. გამოიცა ცნობილი თეოლოგის, პროფესორ ვაჟა ვარდიძის მორიგი ნაშრომი **„თეოლოგიური ჰერმენევტიკა“**.

„გაგება ადამიანთა თანაცხოვრების სასიცოცხლო არეალია. იგი უნივერსალური ფენომენია, რაც ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ არ არსებობს ადამიანი ან ადამიანთა მოდგმა გაგების გარეშე, არამედ ასევე იმას, რომ ის ყველანაირ გამოხატულებას განსაზღვრავს. მაგალითად, ქაღალდი და საღებავი ერთად ქმნიან გარკვეულ სინთეზს, რომელსაც ადამიანი აღიქვამს, როგორც შინაარსიან ნახატს. რთული გამოხატულებების შემთხვევაში, იქნება ეს პოეტური თუ ფილოსოფიური ტექსტები, ხელოვნების ნიმუშები თუ თეატრალური წარმოდგენები, დამხმარედ მეთოდურად „გაწვრთნილი“ გაგება შეიძლება მოგვევლინოს. მეთოდურად „გაწვრთნილ“ გაგებას კი გაგების ხელოვნებას უწოდებენ, რომელიც გარკვეულ მეთოდებსა და წესებს გვაწვდის, რომელთა მეშვეობითაც საზრისის უკეთ ამოკითხვა უნდა განხორციელდეს“, - ვკითხულობთ წიგნის შესავალში. რაც შეეხება ჰერმენევტიკას, მას სწორედ გაგების ხელოვნებას უწოდებენ.

აზროვნების ისტორიაში ფილოსოფიური, თეოლოგიური და სამართლებრივი ჰერმენევტიკა ჩამოყალიბდა. ბიბლიისა და საღვთისმეტყველო ტრაქტატების გაგება სწორედ თეოლოგიური ჰერმენევტიკის მეშვეობითაა შესაძლებელი. ამიტომ პროფესორ ვაჟა ვარდიძის ეს ნაშრომი, უპირველესად, განკუთვნილია თეოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, მაგრამ იგი ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის სანიმუშო გზამკვლევს წარმოადგენს საღვთისმეტყველო ლიტერატურაში. ნაშრომში, ანტიკური ეპოქიდან დაწყებული და თანამედროვე პოსტმოდერნიზმით დასრულებული, განხილულია თეოლოგიური ჰერმენევტიკის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი. დასკვნის სახით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ის ვაკუუმი, რომელიც არსებობს ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში, თეოლოგიური ჰერმენევტიკის სფეროში ვაჟა ვარდიძის ამ ნაშრომით ნაწილობრივ ამოივსო.

ნუგზარ ბარდაველიძე

ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

## თებერვალი

| | |
|---|---|
| 2 | მირქმა, ბერმონაზონთა დღე |
| 9 | დიაკ. ანტონ ხითაროვის გახსენება (+2022) |
| 11 | ლურდის ღვთისმშობლის ხსენება, სნეულთა დღე, მომლოცველობა სტამბოლის ქართულ სავანეში |
| 14 | წმ. კირილე და წმ. მეთოდე, ევროპის მფარველნი |
| 14 | წმ. ვალენტინის, დანიშნულთა მფარველის დღე |
| 17 | მ. სიმონ კლიმაშევსკის გახსენება (+2006) |
| 18 | ნაცრის ოთხშაბათი, მძიმე მარხვის დღე |
| 22 | წმ. პეტრეს საყდარი |
| 23 | მ. სტეფანე დემურიშვილის გახსენება (+1938) |

## სარჩევი


რედაქტორის გვერდი ... 2-3

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 4-5

ჩვენი ეკლესია..... 6-13

ჩანართი:.....I-IV

გზა კათოლიკე ეკლესიისაკენ..... 14-15

ბიბლიური გვერდი.... 16-17

ახალი წმიდანები ..... 18-19

სოციალური გვერდი - Caritas Georgia ..... 20-21

ახალი წიგნები..... 22

ინფორმაცია..... 23


## განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!

მაყვალა გოზალოვი
* 01. 08. 1940, ადიგენი
† 24. 10. 2025, ვალე



დარეჯან კელოშვილი
* 27. 10. 1944, ოზურგეთი
† 06. 11. 2025, სანავარდო



რევაზ მარტიაშვილი
* 04. 02. 1956, უდე
† 19. 11. 2025, ახალციხე

სიმონ ზაქარიაშვილი
* 20. 08. 1939, ვალე
† 08. 12. 2025, ვალე

დონარა ოცხელი
* 14. 11. 1930, აზერბაიჯანი
† 10. 12. 2025, ქუთაისი



ირენა პუიდოკაიტე
* 01. 03.1936, შაულიაი (ლიეტუვა)
† 21. 01. 2026, თბილისი

ნოდარ ჩილინგარიშვილი
* 20. 09. 1948, ივლიტა
† 12. 12. 2025, ივლიტა



მიხეილ გალდოშვილი
* 08. 07. 1935, ივლიტა
† 17. 12. 2025, ახალციხე

ჟუჟუნა (ლამარა) ჩილინგარაშვილი
* 31. 08.1947, ახალციხე
† 23. 12. 2025, თბილისი



შოთა ჯანაშვილი
* 10. 03. 1936, ვალე
† 03. 01. 2026, ვალე

გიორგი ნარიმანაშვილი
* 06. 05. 1935, უდე
† 08. 01. 2026, ახალციხე